



სალიტერატურო და საპენსიო ნახატებიანი ზაფთობი. ზამოსის ქველ კვირა დღეს.

№ 14

მ ა რ თ ი, 31 1896 წ.

№ 14

შინაარსი: კვირის ჭარანი კვამტისა. — სხვა-დასხვა ამბები. — საურადღებო ამბები. — მოთქმა, ლექსი გრ. ტუტუნავა-სი. — სიტყვა, თქმული თ. ნ. უ. დადიანის მიერ გელათის მონასტერში. — სპილოები ინგლისისა და ინდოეთის დარში. — მცხეთაში წლების მოღვაწენი და ლეკვანდელი ცნობა (გაგრძელება). ნ. ყორღანისი. — შეცხვრება გაცოცხდა, თუ შეტყაფა? ზ. აბაზაძისა. — ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ჩხ. ს. — რეცენზია: „ცილო-ქმარა“, მითხრობა იას. ნიკოლაიშვილისა. — ნუსხა მითხრობა ვ. ბარნოვისა. — საქველმოქმედო საქმე. — კვალის დამატება: — უცვც უცხურია? კორილე შევარდნისძისა და კერძო განცხადებანი.



კვირის ფარანი.

ამას წინეთ ვაღიენის-პროპაგანდა შემომეფეთა ერთი ნაწილი გურული. „ყახილორი“ გამოქვეყნდა ზამთარს და, ის იყო, ჩამოსულიყო თბილისში, მაგრამ, როგორც ვეცხობოდა, ვერც აქ მოენახა ვაზფხული. ზამთრით დაწინებულს, აქ სულ

სხვა რამე ვაჩენოდა სადარდლოთ. — ავი მითხარი, თუ კაცი ხარ, თქვენ აქ სალანძღვით ხართ დაყენებული, თუ ასეთია თქვენი ხელობა?

— ეი ჩვენ? რა ხელობა?
 — თქვენ—მწერლები... რა ხელობა და მწერლობა, რავე მეკითხები? ჩინურათ ვლანარაკობ, თუ რავეა შენი საქმე?
 — მე ავიწერ მხრები და გაკვირებით შევხედ ჩემს მესაუბრეს.
 — გული ნუკი მოვიტა—დამამშვილა მან—მაკრამ, ძმობას გეფიცები, ეერ გამოვიდა თქვენი საქმე. ცხენს რომ ვეიდულობ, ვიცო, რასაც ჩაედიერო, სახლს, მიწას—კიდევ ისე და ეს თქვენი ვაზფთაი კი სულ სხვა ჰყოფილა. ღმერთმა ჰკითხოს მის მომგონს!
 — რისთვის?
 — რავე რისთვის? მე, ჩემო ძმაო, ანალო ამბავი მწყურია, ჰკუის სწავლება მიწა და თქვენ კი ლანძღვა-ვიინებს მაჩვენებთ ხელში. ეს ამისთანააო, ის იმისთანააო... ვილაკ ორი-სამი კაცო ვაჩვენებიათ, ძმობას გეფიცები, რომ შევხედებოდე, შევაკებოდი იმ ყახილორებს. ხუთი წელიწადია ავერ, მათი გამოისობით მოსვენება არა მაქვს. ავიდა.. ეს და ეს პორთფელით დადისო, ავი და, ამან და ამან ბევრი ლაპარაკი იცისო, ავი და, ამას და ამას თავზე მელოტი უჩდება და სხვა!.. რა გამოდგა ეს ორი-სამი...

ოლე კაცი, რომ მათი ალიან-ჩალიანი ყველამ უნდა ეიცოდეთ? და თუ კი საქარია, ბატონო, გავუგეთ და ეიცით. ხუთი წელიწადი რაეა ვერ დადისწავლილი, რომ ამა-დაამ კაცს პორთფელს აქვს, რომ იგი ჩინათ არ ღირს, რომ თავ-უკლები ჩამოსაკიდია, დასაკირაფია და სხვა... აწი იმის პორთფელს ვარდა არაუფერია ამ დასაკვეცი ქვეყანაზე?

ჩემი გურული დაჰუქერდა და მერე დალონებით განაგრძა:

— ეთხოვეთ მეგაზეთეს, ნულა გვახობ, გვაპატიე, ცოტა შეღავათი მოგვეცი-თქო. ოცდა ხუთმა კაცმა მოვაწერეთ ხელი და გავუზანენით ბარათი, მაგრამ, არ გავიწყურეს ღმერთი, ყურნიც არ ვაბებრტყა: არც ბარათი დავენიჭე და არც პორთფელს მიანება თავი. მიაქვს ეს თუმწიანები და გვიგზავნის ლანძღვა-გინებას: გინდათ, არ გინდათ, ნახეთ ეს თაიგულიო. ახლა იცი, რა გითხრა: თვითონ იმ გალანძღულს გვინდა ეთხოვოთ, მოგვეციღოს ეს მისი პორთფელი და გადაგვარჩინოს ხათაბალას. თუ ჰქნა, ხომ კარგი, თუ არა და დაეიღუპეთ, დალუჟულა შენი მტერი!..*

მე გგონია, რომ ეს პატარა საუბარი ჩინებულათ ასურათებს ჩვენ მწერლობას. მისი მღვდმარეობა ერთნაირათ სამწუხაროა, როგორც მკითხველთათვის, ისე მათთვის, ეისაც ამ მწერლობისათვის შეუწირავს თავისი ძალ-ღონე. ერთნაირათო?.. არა. ერთი ათათ უფრო სამწიანელია მწერლობისათვის, ვინემ მკითხველთათვის. მკითხველიც ისჯება, რასაკერძოდა, მაგრამ მისი ტანჯვა კიდევ სხვაგვარია და მწერლის სხვა... მწერალი და მერე კიდევ ჩვენებული მწერალი, — განა არის ამაზე უბედური ქმნილება?!

მე რომ კარგ გუნებაზე გყოფილიყავი და სააღსარებოთაც მქონოდა თავი მომზადებული, აი, რას ვეტყვი „გაკუქვიანებულ“ გურულს:

— შენ, ჩემო ძამია, შენ შენსას ტირი და ჩვენი ამავეი კი არ გინდა იკითხო. ჩვენ, ეს იგი იმ პირთა უმეტესობა, რომელიც კალამს ვეტრფით და მისით ეცხოვრებთ, უარეს ცეცხლში ვიწვით, უფრო ცხელ ტაფაზე ვიხრაკებთ, ვინემ შენ და შენი მოძმენი. შენ უცხო კაცი ხარ მწერლობისთვის, — შენ გულს, შენ სიმპატიას, შენ სიყვარულს ათასი სხვა რამე იზიდავს და ასახდობს. ამას გარდა, შენ გაქვს შენი საქმე, შეიძლება პატარა, მაგრამ საკუთარი და საყვარელი საქმე, რომელსაც ჰმართავ, უნდა, რომლის ავი და კარგი განაჩრდი და გასულდგმულებს, რას შეგაწუხებს შენ რაღაცა მწერლობის ალიან-ჩალიანი? ვაზეთი არ მოგწონს? ილანძღება? ცრუობს? — მიადგე კუთხეში და გათავდა. ეს არც მადანს წაებნდეს, არც თმას ვაგიოთერებს, არც მუხლს

დაგილარავს ჯავრით. შეგატყობ კი, რომ რაღაც ვაკვლია, რომ ჩვეულებრივით არა გრძნობ თავს, რომ ერთი კმაყოფილება გამოცეკლა შენ არსებობას და... მეტი არაუფერი. ამგვარ უბედურობას კაცი გაუძლებს, მოინებებს, გაულმავრდება. მაგრამ ახლა იმის მღვდმარეობა იკითხე, ეისაც ერთ საქმეს ვარდა არ ამაღია სხვა. ვინც ამ საქმეს შეტრფოდა მუდამ, ვინც მისით ცხოვრებს და სუთქავს, — წარმოიდგინეთ-მეთქი — ამისთანა კაცის მღვდმარეობა, როცა ხედავს, რომ ეს საქმე ელუპება, ეცლება ხელიდან. რა ნუტეში უნდა ასულდგმულდგეს მის ყოფნას? რითი უნდა მიაზოვის მან გულის სიმშვიდე? რომელ ნეთსადგურში უნდა გამოაზნოს თავშესაფარი?

ჩვენ კი, ვინც სამართლიანათ, თუ უსამართლოთ (ეს სულ სხვა კითხვაა) ვითვლებით მწერლებათ, სწორეთ ამგვარ სასოწარკვეთილებაში ვართ ხავარდნილი. ერთი საქმე გვექონდა, მეტი არაუფერი, და იგიც გადავიგზავნებოდა უკუღმართათ. ქართული მწერლობა, ის მწერლობა, რომლითაც ასე ვყოყნობოდა, რომელსაც ასე შევხარობით და შეტრფობით, გადიქვა რაღაც იმგვარ ხელობათ, რომელსაც სრულიადც აღარ ახლავს უწინდელი ნიშან-წყალი. სადღა ის სიწმინდე, ის უანგარობა, ის ლტოლვოლება უზუნაეს მიზნებამდე, რომელიც განაშენიერებდა მის სიყვარულს. კი, მართალია, დროთაგითარებამ ბევრი რამ დაგვანახა საგულისხმობა, ბევრი უღირსი გვაჩენა იქ, სადაც ჩვენ ღირსება და ქველობა გვეგონა, ბევრი გმირები გადავიციქია კაცუნებათ, მაგრამ მაინც ის, რაც იყო, მასთან რაც ვარს, როგორც ეცა მიწასთან, ისეა დამორბეული. წინეთ გზებით თუ ჭურნალი საზოგადო კუთვნილება იყო და არა კერძო, პირადი. „ჩემი ვაზეთით“ კი არ ამაბდენ, „ჩვენი ვაზეთით“ — იმორბედენ სიამაყით. ამის დაგვართ ვაზეთის ასპარეზიც სხვა იყო, ვინემ ახლა იგი განაგებდა საზოგადო საქმეებს და გვერდს უწლიდა ყოველ წერილმან და მით უფრო წერიანც კერძოებისას. იგი ემსახურებოდა საზოგადოებას, ხალხს, ქვეყანას და არა ივანეს, პეტრეს, თედორეს ახლა სულ სხვაა. ქართული ვაზეთი ახლა ერთი კაცის კუთვნილებათ გადიქვა და იგი, რასაც უნდა, იმას წერს, როგორც უნდა, ისე წირავს, სადაც უნდა, იქ გამოაზნოს ქოთანს ყურს. შენ ბევრიც რომ გქონდეს სათქმელი, თუ კი არ ეპიტინაებთ, არც არავინ ვთქმევიწინებს და ვერც ვერსად იტყვი. რაღა გასაკვირეცელია მაშ, რომ უბრალო, უშუა-მწერლის თვისებაც გამოიციკლა ძირეულათ. დღეს თუ გინდა მწერლობა, ან თავისი ვაზეთი უნდა გქონდეს, ან და უნდა აჭრედდე გველსავით: ხან ერთი თქვა, ხან მეორე, ხან ღმერთს ემსახურო, ხან ეშმაკს. ვინც ამგვარ

რათ იცვალა კანი, მათ მდგომარეობას ძალი არ დაჰყუდეს, ვინც არა და — ვი იმისი ბრალი! მათი ყოფნა ათას წილათ უჭრესია, ვინმე მკითხველთა, რომელთაც მომზერებათ თავი ლანძღვა-ვინებით...

უარღრესი უბედურება მწერლისა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მის წყულის წამლი არ უწყია. მწერლობა იგი ხაშიშია, რომელიც ერთხელ თუ იგემე, მუდმივ მოთხოვნილებათ გადატყვევება ხოლმე. არაფერი საქმე, არავითარი ხელობა არ ემარჯება მისგან შეპყრობილს და რა განსაცდელშიაც ჩავარდეს, მაინც მისკენ უჭირავს თვალი, მკითხველი, ანუ სხვა ხელობის კაცი ახალი საქმით შეიმსუბუქებს ჯავრს, მისთვის კი ეს გზაც დაბნულია. უნდა იყოს მიჯაჭვული ამირანსავე იმ ბოძზე, რომელიც ერთ და იმავე დროს მისი სიამაყეც არის და მისი ენებაც. ამგვარათ სხვების ჯავრთან, სხვების სატირალთან ერთათ, მწერალს მისი სპეციალური, კიდევ უფრო მეტა, უფრო მიმე უღელი აწეეს კისერზე. მე, რასაკვირველია, ვამბობ არა ჭკელა-ჭრულა ვიგინდარებზე, რომელნიც მწერლობას ჩემოვინ, არამედ მათზე, ვინც მართლა ღირსია ამ სახელის და, დროთა ვითარების გამო, დარჩენილია შტატ გარეთ...

ზემოთ აღნიშნულისაგან, მე გგონია, შესაძლოა გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნა: ახლანდელი მკითხველი და მწერალი ორივე უბედურია და, მაშასადამე, შესაბრალონია. დეე, თუ სხვამ არა, თვითონვე მაინც შეიწყნარონ ერთი მეორე. მწერალმა უცადეს, რა განსაცდელშია მკითხველი და მკითხველმა, რა მოეთხოვება მწერალს. ერთმა მეორეს უზაროს და ორივემ გაინაწილოს ტყამა ვითარების ტერით. ამ იმედით მხოლოდ ეუბრუნდები ქართულ მწერლობას, რომელმაც დიდი ხანია აღმომაკეთია წლები. ვიმედოვნებ, რომ მკითხველი არ მომთხოვს იმას, რაც არ მომეთხოვება და რაც აღემატება ჩემს ძალას. ვიბასოთ დღიურ ვარაზზე ისე, როგორც გვეძაასება და ჩაიბეჭდოთ გულში ნუცვანთ, რომ დრონი ცვალებადია. ვინ იცის, ვემე უკეთეს დროს მოვეწერათ და უფრო საბატოა ვივალეოება ვაუზნარათ ერთი მეორეს...

კვიბატი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ავკასიის მცხოვრებთ უბედურების წელიწადი დაუღვათ ადგილობრივი რკინის გზის გამო. ჩვენი მკობხევი საზოგადოება უკვე შეეცეა

უბედურთ შემთხვევების ზე ამების ამოკითხვას ვაზე-თებიდან, რომლებიც მოხდენ ამ რამდენიმე თვის განმავლობაში ამ გზაზე. უკანასკნელი დეკემბერი რკინის გზის სხვა-და-სხვა ადგილებიდან იუწყებიან ძლიერ სა-შიშარ მდგომარეობას: ზეაგებმა, აღიდებულმა მდინარე-ებმა, ლამის არის, წალეკოს და დაანგროს რკინის გზის ლიანდაგი საღე, ხაშურის და რიონის შუა. ახლო-სგნე-კიდან ფოთამდის, მთელი რკინის გზის ლიანდაგი უკვე წყალ ქვეშ ძევს. ნეტა როდის მოვესწრებით ამ საშიშარ მდგომარეობისაგან თავის დასწევას?

ამას წინეთ „კვალში“ (იხ. № 12, 1896) და-სტამბული იყო ამბავი ს. კუხიდან მეგობრეშუმეთა ამხანაგობის შესახებ. ეს ამხანაგობა სულ ახალი საქმეა, მაგრამ რამდენათ წარმატებით მიდის მისი საქმე, ვე, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ ასე ცოტა ხნის განმავლობაში ამხანაგობამ დაარსა აბრეშუ-მის საქსოვი ქარხანა. ამ დღეებში ჩვენმა რედაქციამ მიილა ამ ქარხანაში ნაქსოვი აბრეშუმის ნიმუშები. ვინც კი გაშიჩა ეს ნიმუშები, ყველას ძლიერ მოე-წონა და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ახალი დარგი ჩვენი მრეწველობისა საქმარის ბაზარს იპოვის ჩვენში. რედაქცია დიდი მადლობელი იქნე-ბოდა, რომ ამხანაგობა ამ ნიმუშებთან ერთათ ფა-სტებსაც გამოგზავნიდეს.

20-და-21 მარტს მოხდა სხდომა თფილისის სა-მკურნალო სანიტარული საბჭოსი, რომელზედაც წა-კითხულ იქნა მოხსენება საკუთარი საკათოქო ო გა-დასახადის შემოღებაზე თფილისში ქალაქის სამკურ-ნალოს გაკეთებისთვის. საბჭომ დაინახა, რომ საეთ-მყოფო ვადასახადის შემოღებას აქვს კავშირი სამ-კურნალოს გაკეთებასთან, რადგანაც, თუ ქალაქი ამ-ნირ ვადასახად დაადებს მცხოვრებთ, იმ შემთხვე-ვაში ამ უკანასკნელთ უფასო სამკურნალო თავმს-ფერი უნდა ექნეს. რიცხვი იმ პირებისა, რომელთაც წესდების ძალით დაედება საეთმყოფო ვადასახადი მიახწევს 26, 424 კაცამდის (უბრალო მუშები და მოსული მცხოვრებნი), და რადგანაც უფასო აქიმო-ბის უფლება ამ პირებთა ოჯახებზეც ვრცელდება, ამი-ტომ საერთო რიცხვი გადახდელთა 40,000 მიახწევს. აეთმყოფების რიცხვი თფილისში შეადგენს 8,8%; მაშასადამე, საჭიროა რომ სამკურნალოს ექნეს არა ნაკლებ 250 საწოლისა. ამნა-რი სამკურნალოს გა-კეთება, რომელსაც დაქარდება 10,000 ოთხ-კუთხი საქ. მიწა, ქალაქს დაუჯდება 290,000 მან., და ყო-

ველ წლიური შენახვა სამკურნალოისა და მის მოსახლეობათა ეღირება 94,000 მ. მაგრამ რადგანაც ამინარი ხარჯის გამოღება ჯერ ქალაქს არ შეუძლია, საბჭომ დაადგინა დროებით მიინც ვახსნას სამკურნალო 50 საწოლით, რისთვისაც საქმარისი იქნება 25,000 მ., და დანარჩენ ავთომყოფთა დასაქმყოფილებლათ აძლიოს მიხაილოვის სამკურნალოს წლიურათ 28,000 მ.; ამის-და-ეკალათ თვითთველ პრის წლიურათ დაედება 1 მ. და 50 კ. სავათმყოფო გადასახალი. ამას გარდა, რადგანაც სავათმყოფო გადასახალი ახლანდელი წესდებით ქალაქის მცხოვრებთა ერთ ნაწილს ედება, და უფასო აქიმობის ნება კი ყველას აქვს, ამიტომ სასარგებლო იქნება, რომ ამ გადასახალში ლებულობდენ მონაწილეობას ქალაქის ყველა მცხოვრებნი. ეს წინადადება უნდა წარედგინოს ქალაქის საბჭოს განსახილავათ („Нов. Общ.“)

* *

რედაქციას მოუყვიდა ქართული თარგმანი ელ-სუარდ ბელამის სოციოლოგიური რომანისა „ას წელს შემდეგ“. თარგმანი ეკუთვნის ბ. დ. კალანდარიშვილს, გამოცემა ან. გოგიაშვილისა. ეს წიგნი ძლიერ საინტერესოა ჩვენი საზოგადოებისათვის; ამასთანავე სუფთათაც არის დასტამბული და ღირს 1 მანეთი.

* *

პეტერბურლიდან იუწყებთან, რომ არსდება ახალი შეიზღისპირის გუბერნია.

* *

თფილისის საპატიმროებში წასული 1895 წ. იანვრისთვის ყოფილა სულ 585 კაცი და 17 ქალი. მთელი წლის განმავლობაში მიუყვანიათ 3,067 კაცი 189 ქალი, გამოთუშვით 3,024 კაცი და 195 ქალი. ამაწიათ 1896 წ. პირველ იანვრისათვის დარჩენილა თფილისის საპატიმროებში 628 კაცი და 11 ქალი („ივერია“).



საყურადღებო ამბები.



მ დღეებში ბ. აკაკი წერეთელს მოსვლია კუჭი. სახალისის ქართველებიდან წერილი. ეს წერილი პატივცემულმა აკაკიმ ჩვენს რედაქციას გადასცა. წერილის დამწერი ამბობს, რომ

კუნძულ სახალინზე მცხოვრებ ქართველებმა დამავალაო, ემისესთვის მიემართა საქართველოში თხოვნით, რომ საქართველოს ისტორია და რომელიმე ქართული ვაჭეთი იმათ მიაწოდონ. მაგრამ საინტერესოა, თუ რანაირი თავმდაბლობით და ბოდიშის მოთხოვნით მამართავს ავტორი ჩვენ საზოგადოებას. წერში ჩართულია ლექსი, რომელშია გულ უზრაცვილათ არის დახატული უბედურების გამო შორს გადახვეწილი ადამიანის სულისკეთება (ლექსს ეტყობა, რომ მისი დამწერი გურუკია). ბოლოს წერილის ავტორი კიდევ მოგვმართავს და გვთხოვს, რომ ეცნობოთ, გავგზავნებთ მათ თუ არა ქართული ვაჭეთი ღ საქართველოს ისტორია, რადგანაც ამის მსურველი არა ერთი და ორია: ყველა ქართველების რიცხვი სახალინის კუნძულზე 500 კაცს აღემატებაო, რომლებიც გვარაინათ ცხოვრებნო. ამისათვის იმედი უნდა ექიანიოთ, რომ ქართული რედაქციები მიაწვდიან გარემოებათა გამო დასაგურუთ თავიანთ გამოცემებს. აღრესი **Ост. Сахалинг, П. Александровскъ, поселенцу Абрамъ Квирикали.**

* *

ს. პორო (კაცხის საზოგადოება, შორაპნის მახალი) ამ წლის თებერვლის 29 მოხდა ერთი საზარელი საქმე კაცხის საზოგადოებაში. ამ საზოგადოებამ თავის ბოქაულის დიდი მაცდინებით აგერ წელიწად ნახევარი იქნება, რაც სასოფლო შკოლა დაარსებითაც ყველა ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულ პირი იყო მოხარული, მაგრამ ეს დღათ სასიამოვნო საქმე შეტეალა ამავე საზოგადოებამ სამწუხარო ამბათ. ოცდა ცხრა თებერვალს მოიყარეს თავ ყველა გლეხებმა: შკოლის მდგამარეობის ვაჭურბესობის მაგიერათ მთელ წინანდელ ნაშრომ საქმე ერთ ნახევარ საათის განმავლობაში მოუღეს ბოლო: დამტყრეს შკოლა, რომელიც სოფლის სასამართლო საბლში იყო მოთავსებული, ბავშვების საჯდომი სკამები, დაფები და რაც რამე იყო შკოლაში სამოსწავლო ნივთები გამოიტანეს გარეთ და დაუბრუნებოში დამსხვრეული, რომლის დანახვა კაცს ცხოვრებლს მოაკვირდა ტანში. მასწავლებლები შეიმწყვდნოთანში და უპირობდენ მოკვლას ობო-შვილით, რომ ამავე საზოგადოების მამასახლისს არ ეტარებოზო, რა არის მიზეზი ამ საშიზღარი მოქმედებისა? უმეტი რება თუ სიღარიბე?—არც ერთი, და არც მეორე არამედ ის, რომ ახლანდელი სოფლის შკოლა თავის პროგრამით არ შეესაბამება ჩვენი სოფლების მოთხოვნილებას, რაც არა ერთხელ გამოამკარავებო.

ლია. ამას კარგათ გრძნობენ ჩვენი გლეხები. ამიტომ მივაქცევთ ამაზე ყურადღებას, ვისიც ჯერ არს.

გიორგი.



ფოთი. მარტის 17-ს საქალაქო დარბაზში დაწინაურებული იყო კრება ფოთის საურთიერეთო ნდობის საზოგადოებისა. კრებას უნდა აერჩია ორი დირექტორი, რადგან ძველ დირექტორებს ვადა შეუსრულებდათ. ამ თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატი იყო დასახელებული, მაგრამ აქ რასაც აზრის ბრძოლას გტყვიან, ადგილი არა ჰქონდა. „ვინც უნდა იყოს“, ამბობდნენ ამომრჩეველები.

სანამ ანგარიშების წაკითხვას და არჩევნებს შეუდგებოდნენ, კრებამ აირჩია თავმჯდომარეობა ადგილობრივი მსაჯული, იგივე საკრედიტო საზოგადოების წევრი ბ. მრეელიშვილი. ანგარიშების წაკითხვას შემდეგ, რამდენიმე წევრმა მიმართა ბ. თავმჯდომარეს შემდეგი თხოვნით: რადგან აქ უმეტესობა სულ ქართველობაა და ამის გამო რუსული ენა ბევრს არ აქვს, საქირაა, რომ ანგარიში ქართულადაც ვაღი-თარგმნოს და წაკითხულ იქმნას ამავე კრებაზე, რომ ამით ყველას მიეცეს საშუალება ბანკის თავგადასახალი და საქმეები ცოტათი არის მიხედვით გაიგონ. ამ კეთილ აზრს ბანი დასძინა ერთმა უცხო ტომის პირმა, რომელიც რამდენიმე ხნის განმავლობაში, თანგაროთ მოღვაწეობდა ამ დაწესებულებაში, მაგრამ, საუბედუროდ, თავმჯდომარემ ამაზე უარი უთხრა საზოგადოებას: „მე არ შემიძლია თქვენ ქართულად ავიხსნათ წაკითხული და არც არავის სხვას ეძლე ამის ნებასო. მე უადგილოთ ეთელი სახელმწიფო ენასთან ქართულად ლაპარაკსო“. ამ სიტყვებს ჰკვირი დაჰკრეს მთლად ბერძენთა გუნდმა გაჩაგრების ნიშნით. და ბოლონ თავმჯდომარემ გუ-ლი ამით მოაჯერა: „ვისაც რუსული არ ესმოდა, მან რატომ თან მთარგმნელი არ მოიყვანაო“. მაგრამ ანგარიშ სიტყვებით მიმართვა საზოგადოებისად-ღი დატინდა იყო და მეტი არაუფერი, რადგანაც გამ-გეობის განცხადება გვეუბნებოდა: „უკერძო პირთ კრე-ბაზე დასწრება სასტიკათ აღეკრძალებოა!“

როცა არჩევნები დაიწყო, ბ. ალანია, ძველი დირექტორი, ჩვეულებრივად ერთ ხმით იქმნა არჩეუ-

ლი. შემდეგ მეორე დირექტორის ალაზე იყარეს კენჭი შემდეგ პირებმა: ბ. ელოპულომ (68 თეთრი და 121 შავი), ქალაქის საბჭოს მდივანმა, ბ. ტატიშვილმა (105 თეთრი და 86 შავი), ბ. ა. ხოშ-ტარიამ (110 თეთრი და 81 შავი) და ბ. ბაგბუქ-მელიქიანმა (63 თეთრი ხედა და 124 შავი). ანგარი-რათ მეორე დირექტორათ არჩეულ იქმნა ბ. ხოშ-ტარია.


ი. იანუელი.



ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატრიცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც ასკანის სამკითხველოსთან და აწყურის სკოლასთან ერთად ჩემდამი რწმუნებულ პირ-ველ ნიკოთიშვილს სკოლასაც გამოაუწერა საყმაწვილო ქურნალი „ჯგჯგოლი“ ამ წლისა.

მსწავლებული პირველი ნიკოთის სკოლის კონ-სტანტინე კვიციანი.



მ ი თ ქ მ ა.

შეგონა უმეგრებაში ჭკვიან ძველ-ძველად, დრომ ჭკვი მოადრეგად, დამის მოწვეტოს წელი, სიამრთლეს ფერხთ ჭკვი თელაქან, პორატს შეუქვეს სელი, სსლის ბატონი გარეთ ძრწის, სტუმარი მისინქელია.



მშობელი შობილს ღღრ ტნახს, მხოლოთ უუგრეს გერათა, მშ ეწავება მის სისხლსა, მოუკარეს იხლის მტრათა, სიყალბე სუფლათ გეჭკვება, პრმა გულის თქმანი — რწმენათა;

მსაგულათი ფული გამოსდარს,
ნამუსი — ფისის მტკვრითა.

თანსმოზა ბირში იცელების,
ნაცვლათ ითესვის შურია,
განსუთქილობა ფრთას ისსამს
და ქვეკა უწამწურია,
შეირფა წმინდა ზნეობა
და ენა საღბოსნურია,
შეხერდა სისხლის დუღილი
ძარღვებში გაგატურია.

გერ იქის თავისუფლათა
ჭირანსუღს მისი მთესავი,
ურ-ჭევეს მცნება ქრისტესი,
გამრავლდა მუკუნელ-მსურსავი,
სულს გვაშფოთებს, გვიწუსებს
დრა უკუღმართათ მბრუნავი.
კაცის სიფოცხლე ბრძოლდა,
ცხოვრების ზღვაში მცურავი.

საწუთრობ ავი თვალი გვეკრ,
კატრა ბრწეინგაღვ სანთელი,
აწმუო ჩრდილია, შორეა
ის სანეტარო ნათელი,
მშობელი ქვეყნის მტერია,
მისივე შეილი ქართველი,
ხელთაგან გამოგვეტყდა
თვით-არსებობის სასული.

ქე, დმერთო, ხელთა მშეობული
სასწორო-მხედველია აღდის,
დაუწეებელი, უგვედგო
და მდინარეო მადლისა.
მავნე-ავ სულთა დასჯარო,
მარად მფარავო მართლისა,
ისმინე ხეკდრის წივლი
და მწარე გენესა ქართველისა.

აწ მომაკვდავთა მის შეილთა
შთაუდგი მტკიცება სულით,
გვლავ შთაუნერგე; ასწავე
მშობა და სიფარულით,

სოფლისგან ნაკვეთი მუხს ჭეჭენ,
განკურნე მათი წყუღელიო
და აღუდგინე სავსებით
დიდება კროვრულიო.

გრიგორი გ — ნაგა.

სიგვევა, თქმული თავ. ნ. ც. დადინის მიერ გე-
ლათის მონასტერში, 10 მარტს 1896 წელს.


ქვენი ისტორია მდიდარია დიდ-სულია, დღ-
ბუნება კაცებით; ჩვენი წასული დრო აღსავ-
სება გონებისა და გულის მოღვაწეთა წარჩი-
ნებული, ახოვანი რაზმით, — აწმყო კი ერთობ ღარი-
ბი და ნაკულღეფანი ყამთა ვითარებითა... ამ დროს,
როდესაც მძიმე საისტორიო გვემთავან გამოვლილ-
ნი, დაკლიონი, დამაშვრალნი სულს ვიბრუნებთ,
ძილის დახსნილგებას მიეცემივართ, გავლილი ყამ
ჯერ ვერ გამოგვიწვილოლავს და მდგომარეს ვერ
მიგმზდარვართ, გვეჭირებოდა გამომაფინზღებელი
ძლიერი სხივი ცხოველის სიმართლისა...

როდესაც ამისთანა ისტორიულ უბედურებათ
გადამხდელი ქვეყანა, მათგან დარბეული სულით
ხორცამღე, ღუნღება, მისი ძალ-ღონე გონებითი და
ზნეობითი წვირილმანდება, იშლებება, ხურდადდება, მ-
შინ თვით მისი უწინდელი დიადი ღვაწლიც შეიქმ-
ნება საცილობელი, საეჭვო: სული ჭოჭმანებს სხვა-
და-სხვა ჩ ჩვევსა და გზას შუა, ცხოვრება იწროვლ-
დება, კერძოდება, აესა და კარგს უთავ-ბოლოთ ც-
ლებება, ცდება; — მაშინ განგებულება მოავლენს ხოლ-
მე ხორც-შესხმულ სულს სიმართლისას, დიდ-ბუნე-
ბა კაცს, საყოველთაო მოძღვარს, რომელსაც თავ-
სი ქედით უტყვირათეს და მოაქვს „ყოველი ჭეშმა-
რიტება“ ისტორიისა...

ამისთანა მოძღვარია ყოველად-სამღეღელია ვაზ-
რიელ: ეს არის ზე-გარდმო მოვლენილი მოწამე და
მოღვაწე, რომელმაც თავისი გონების ძალით, ხსო-
ათის სიმტკიცით და გრძნობის სიწმინდით ახოვნო
გადაბა სინამდვილე წარსულის ყამის მოთხოობის
ამ დროს ცხოვრებას და თვით მხნეთ ჩაღვა ღღ-
ბულთა მოძღვართა კრებულში, მოწინავე მოღვაწე


თა რაზმში თვით ჩვენი თვალის წინ. ამას ეკვი
 ვერ მივყარება, კრიტიკა ვერ მიუღდება: ეს ბედნი-
 ერება ერგო ჩვენს დროს, რომ ამას ჩვენი თვლით
 ვუყურებდით, ჩვენი ყურით ვისმენდით, ჩვენი ბავით
 ვემთხვეოდით,—ეს იყო განხორციელება ჩვენი ის-
 ტორიისა, განმაცოცხლებელი მისი სიმართლისა, მი-
 სის უღიდებისა. ეს არის ჩვენი ზნეობის მწყემსი, წი-
 ნამძღვარი, ჩვენი ჭირისა და ღბინის ზიარი, ჩვენი
 სახელი, სიკადული, სიხარული ჩვენი დროასა; მაგ-
 რამ... ვაჰ!.. აწ ამ სიხარულის წარხდომასა, ევაებთ
 და ევიგოებთ, რომ ეს მაღლი ჩვენი ქვეყნისა ამი-
 ერითგან მართა ისტორიას დაეკუთნა და ჩვენ აქაზ-
 ლათ დაგეტყვა. შეძრწუნებული გულით ვუშხერთ
 საფლავით ჩამავალს მუშაკს „მაღლისა და ქეშმარი-
 ტებისას“, გულის ტკივილით ვეზობევიბთ „მშვიდო-
 ბისა და სიყვარულის“ მოძღვარს, სიობლის მწუხა-
 რებით ვაბარებთ სამარეს საყვარელსა და სანატრელს
 მამას... აქ ნუგეში ძნელი სათქმელია, რომ თვითონ-
 ვე არ იყოს ნუგეშინის მცემელი სიცოცხლის ღვაწ-
 ლითა და სიკვდილის დიდებითა: მან განაღვიბა და
 გამოაწვდა გულში მთელემარე წმინდა გრძნობა კა-
 ცობისა და ქრისტიანობისა ჩვენ შორის; ვაგვი-
 ცოცხლდა და წინ დაგვიყენა დიდი სახე დიდთა მოძ-
 ღვართა ჩვენი ეკლესიისა, ჩვენი ერისა, ჩვენი სუ-
 ლიერის ღონისა; ამოიგო მსოფლიო ისტორიაში
 სამშობლო ქვეყნის წილი გონების მოღვაწეობისა;
 პირი დაუყო უმცარ მოჩემართა; ასწია თავისი მხრე-
 ბით მძიმე ლოდი სამარისაგან მივიწყებულის საერო
 ღვაწლისა და გამოაბრწყინა მისი სახელით მთელი
 ქვეყნის წინაშე სახელი მშობლის ქვეყნისა; ღრმით
 გაავლო ნათელი კვალი წასულსა და მომავალს შუა;
 გვიანდერბა სიყვარული, შრომა და სწავლა; გვიჩე-
 ნა გზა ნიჭთა და ღონეთა ხმარებისა; ურწმუნოსა
 სარწმუნოება ჩაუნერგა, იქნეულს ეჭვი ჩამოაცილა
 და მორწმუნე უმეტესათ განამტკიცა... თავს შემოაყ-
 დო სამწყოსს და სამშობლოს ყოველი თავისი საძ-
 რაობა, სიმართლე, სიცოცხლე და ღვაწლ-შემოსი-
 ლი შეერთო დიდებულ მწყობრს სჯულისა და ქვეყ-
 ნისათვის თავდადებულთა მამა-პაპათა!...

ამ დიდს ადგილს—გელათს აღმაშენებლის შრო-
 მისა და განსვენებისას აწ შეეწყურება და განისვენ-
 ნებს კვლავ აღმაშენებელი და განმახლებელი ჩვე-
 ნის ზნეობისა, მაღლი ზეცისა, განგებულებისაგან
 მიაკლინებული წინამორბედთა ჩვენი სულერის გა-
 ნახლებისა და აღშენებისა. თაყვანს ეცემ სიწმინდესა
 ამას, წასულისა და აწმყოს შემყარელსა და შემყს-
 ერილი გულით ვილოცავ, რათა მაღლითა და ეედ-
 რებითა განსვენებულის მეუფისათა—სიტყვათა და
 სწავლათა მისთა მორჩილებითა დაეადგეთ მის კვალს
 და მივეგებოთ შრომითა და სწავლითა აღშენებულს
 მომავალს,—უცდავსა და კურთხეულს ძეგლსა და
 ნაყოფს მისის მოღვაწეობისა.




სპილოები ინგლისის და ინდოეთის
 ჯარში.

რამდენათაც ვიცით ისტორიიდან, სპილოებს კი-
 დვე ძველ დროშიაც ხმარობდნენ სამხედრო საქმისა-
 თვის. დარიოსის დროდან, რომელმაც პირველათ გა-
 მოიყენა ეს უზარმაზარი ცხოველი ალექსანდრე მა-
 კედონელის წინააღმდეგ, სპილოები ხშირათ იხსენი-
 ბიან სამხედრო ისტორიაში. ევროპის ისტორიის სა-
 თავეშიაც, სპილოები ძლიერ ხშირათ იყვენ ხმარება-
 ში. გვიხსენით ომები კართაგენელთა, ებირის მეფის
 პიროსისა და ბოლოს თვით რომაელთა, რომლებსაც
 ასობით გამოჰყავდათ სპილოები ომების დროს.
 აქ ინდოეთის სპილოებთან გამოჰყავდათ აგრეთვე აფ-
 რიკის სპილოებიც. ჩვენ დროში სპილოებს საბრძო-
 ლელათ აღარ ხმარობენ, მხოლოდ ინგლისელები
 ინდოეთში ხმარობენ მათ სიმძიმის გადასატანათ, უმე-
 ტესათ არტილერიის იარაღებისა. ამ მიზნისათვის კი
 სპილოები უფრო გამოსადეგი არიან, ვინემ ცხენები
 და ხარები.





Մեղրուհանի ճեղք



Բարձրագույն խումբ

მესამოკე წლების მოღვაწენი

და

დღევანდელი ცხოვრება.

(თ. რ. კრისთავის იუბილეჯ გამოც.)

ვ *



ეროპილეში. თუ საქართველოს სრული ვა-
 ეროპილეობა სომხობის ინტერესი არ არის,
 თეთონ ევროპელითათვის, კი ძალიან სა-
 სურველია. ესენი ჩვენ პირდაპირ ევროპასთან გვახ-
 ლოვებენ. ეს თვალსაჩინოა არა თუ დღეს, არამედ
 ისტორიულ წარსულშიაც. გასულ საუკუნოებში ევ-
 როპიელნი ჩამოდიან ქვეყნის ვასალებით, ასაწრათ,
 აზრების ვასაერცვლებლათ (პატრები) და სხვ. იმ
 დროის უგზო-უკლობაში ასეთ მიმოსვლას დიდი
 მნიშვნელობა ჰქონდა. მეფენი, კარას-კაცები თუ რა-
 მეს ტუპობლობდენ ევროპის შესახებ, ამის მიზეზი
 ევროპიელი მოგზაურნი იყვენ. ესენი უამბობდენ ევ-
 როპის ამბებს. ასეთი ძმობა, პირალი ვადაცვა ერ-
 თათ ერთი საუკეთესო საშუალება იყო. ვაჭურები,
 ფოსტა-ტელეგრაფი, რკინის-გზები, მაშინ ხომ არ
 ყოფილა, რომ ყოველივე დაუყოვნებლივ ვაგვით.
 ირაკლი მეორემ ევროპისა არა იცოდა-რა, მხო-
 ლოთ იმის მეტო, რომ ხანდახან პატრები იახლებო-
 დენ და ისინი უამბობდენ ევროპის ამბებსა, ან ოდეს-
 მე ევროპის მოგზაური მოვიდოდა, ისინიც*. (იხ. ზე-
 მით დასახლებული წიგნები.) თუ ასე იყო, მე-
 თერამეტე საუკუნის ვასულს, რაღა უნდა ყოფილიყო
 წინა ხანებში ევროპიელთა ზე-ვალენას უნდა მი-
 ეწეროს, რომ მეფენი ევროპისაკენ ილტვოდენ, და-
 ხმარებას და მფარველობას აქ ეძებდენ. ამის საუკე-
 თესო მაგალითს გვიჩვენებს საბა სულხან ორბელია-
 ნის ევროპაში გამგზავრება და იქ საქართველოს პო-
 ლიტკური მდგომარეობის შესახებ რომის პათან
 და ზოგ გვირგვინოსანთან მოლაპარაკება. ამ გვარი
 მიმდინარეობის შედეგა ისიც, რომ ევროპიელნი
 ცდილობენ ქართული ენის, ზენი-ჩეულების შესწავ-
 ლას, ერთი სიტყვით ქართული მწიგნობრობა მათ-
 თვის საინტერესო ვახდა. ქართულ წიგნებს იძენენ
 და ინახვენ სხვა-და-სხვა წიგნთ-საცეცებში (რომში,
 პარიჟში და სხვ.) და ეინ შეადგინა პირველათ სა-
 ქართველოს ისტორია? იმედ ევროპიელმა (ბროსემ),
 რომლის მივხებით ევროპის მწიგნობარ ხალხს სა-

ქართველოს ისტორიის გაცნობის საშუალება მიეცა.
 ევროპიელთ ჩვენში მოგზაურობისათვის ძალას
 ატანდა მხოლოთ ცნობის მოყვარეობა, ახალის ნახ-
 ვა და გაცება, სარწმუნოებითი ვატაცება, და არა ან-
 გარება, სიმღღრის შეძენა და ხალხის ვაყვლეუვა.
 ფულის საშოგარი პირობები. არ ყოფილა და მო-
 გზაურნი ხომ ვერ ვადაქმნიდენ ჩვენ ცხოვრებას.
 საეგურო ნიადაგი მომზადლა მაშინ, როცა ხალხში
 ფულის მოთხოვნილება ვადივირდა და ძველი კარ-
 ჩაკეტული ურთიერთობა დაიღწეა. ამ პირობებში
 ჩვენ დღეს ვცხოვრებთ. მართალია ევროპის გზას
 დაედექით, მაგრამ სრული ვაგეროპიელებისაგან ჯერ
 კიდევ შორსა ვართ. ერთ კიდეს კი მოვეცილდით.
 მაგრამ მეორეს ჯერ კიდევ ვერ მივადექით. ეს ნიშ-
 ნავს იმას, რომ ჩვენ ვანეციფარდით, მარა სასამოთ
 ვერ ვანიფარდით. ასე შუა გზაზე ვაჩერება სასარ-
 ვებელია, როგორც ზეით თქვით, სომხობისათვის,
 საშოგადოთ ჩარწულ ვატრობისათვის, ხოლო ევრო-
 პიელთა ანგაროში კი არ შედის. ევროპიელი ფულს
 იღებს წესიერათ, თანხმათ ყოველივე ეკონომიური
 კანონებისა. ის ამნაირ ვარემოგებშია აღზრდილი,
 ასეთი იღებენ აქვს შეთვისებული. ის ჩვენში არ წა-
 მოვა იმიტომ, რომ აქ, სოფლოში, საწერილობა
 დღეწინა ვანსას, გოგასა და პეტრიელას ნაცარში
 ჩაუღვდეს და ორი ევროპის ვამოტყუებისათვის ღირ-
 ლიტი დაუწყოს. ის თუ მოდის, მოდის დიდი ფუ-
 ლით. სურს ვააპოს მთა-გორი, არ დატოვოს ვაუ-
 შინჯავი ქვესკნელი, უნახავი ტყე-ველი, რომ რაც
 კი რამე სიმღღრეა, ადამიანთა ხელში ვატაროს და
 მით ფულს ფული მოავებიოს. ის ისე ვერ დადება,
 თუ დიდი საქმა არ აწარმოვა, ბევრი ფული არ და-
 აზანდა, პეკონა-ხალხი არ დიკირავა, სოფელი, ქალა-
 კი, ქვეყანა არ შეძრა. ევროპიელი ძველებურ წყო-
 ბილებში ვერ ვაძლებს, ვერ დაეტება, აქ მას არ
 ყოფნის პავრი სასუნთქავათ, სიერცე ვასანჩრევათ,
 დრო საცხოვრებლათ, ასეთ მდგომარეობაში-ყოფ-
 ხალხს ის უწოდებს ზარმაცს¹⁾, სიცოცხლე მოკლე

1) გულნის ვაჭუთის* („Kölnische Zeitung“)
 დეკემბრის ნომრებში საქართველოდან ერთი მოგზაუ-
 რის ვორკუპონდრევაბი დააბეჭდა. ერთ ლაგას სსხათ
 შორის ამოხას: ქართველები ისე ვარმბევაბა, რომ სომ-
 ხებსა პეკონაობისაკან თავი ვეღარ დაუღწევიათო. მხო-
 ლოთ ქალებს ვეკაბებს: პატრება, მარ ვასაეგებელ
 ღამსუბიაო. En passant ევროპაში თუ ვინმე გე-
 ცნობს, მხოლოთ იმით, რომ საქართველოში ღამსუ-
 ბალებიაო. ესადა, ჩვენსა დეკაბებში ევროპის წინამ
 უფრო მეტი სასხუნი გეგაქვას, ვინმე მამაკებმა.

* იხ. კვლე № 13.

ბელს. ადამიანი, რომელიც თავის სოროდან არ გამოდის, კერძის არ ცოდნება, მისთვის კედარია. ის ელტვის ყველაფერი გააქანოს, ყველაფერს ხელი შეახოს, მთა-მთას შეატაკოს, ხალხი ხალხში ათქვიფოს, დრო, გზა შემაოკლოს, ერთი სიტყვით ქვეყანა თავის სახის მიმართ გადაქმნას, სადაც კი ევროპიელი ფეხს ჩააბიჯებს, იქ ყოველივე ძველი ინკრევა, მანამდე წმინდათ მიწნული ჩვეულებები ისობა, ევლრაფერი ზეზე ვერ დგება. ვაი იმ ხალხს, რომელიც ამ უთოწყალო დაქცევაში თვითონ არ იღებს მონაწილეობას, თავისი ხელითვე არ არღვევს ძველ პირობებს და მით მაგიერ ახალს არ აშენებს! მას უთოთთ გადაშენება მოელოს. ასეთი ბედი ხედა ყველა უკულტურა ხალხს, რომელიც ევროპიელთა მიხალღებთანავე ქვეყნიდან აღიჯევა. რატომ? იმიტომ რომ თავის ცხოვრების გადასხევერებისათვის, გვეროპიელებისათვის, თვითონ ვერ დარჩა მომზადებული და დამწერე-ამწენელის როლი ვეროპიელმა იტვირთა. სადაც კი ასე ხდება, იქ ადგილობრივი მკვიდრი დედა-მიწიდან ჰქრება.

ჩვენ, ქართველებს, რომლებმა ერთი ევროპიული ხანა—ფეოდალური უკვე გავიარეს, ევროპა ვერას დავეკლებს. ის ჩვენი მტერი არ არის, პირიქით, ის არის სისხლი-სისხლთაგანი ჩვენი და ხორცი-ხორცითაგანი ჩვენი, ჩვენ ჩვენივე ევროპიელდებით და მამასადადე მის გვერდით, მასთან შეკავშირებით ჩვენითვე უნდა ვიცხოვროთ. ქართველობამ თვითონვე უნდა განიფთაროს ძალა, აღიძრას ენერჯია, განაყოფიეროს შრომა. თვით-მოქმედება, თვით-მოძრაობა, თვით-აზროვნება—აი, რა უნდა იწეროს მის დროშას. ყველა ის, რაც ამ გზაზე გვებრკოლებს, ძიძაბას ვეიწვეს, ასპარეზს გვივიწროებს, გვაძინებს, გვაზარამკებს—აი, ეს ჩვენი პირდაპირი მტერია, მომავლის ორმოს ამოთხრელია. მას სურს ამ ორმოში ჩვენი ჩაყრა, რომ შემდეგ თავისუფლათ იპარბაშოს. აი, აქ სიფრთხილე, prenez garde!

ევროპიელები ჩვენში ასეთ როლს არ თამაშობენ. ისინი ცელანთ ჩვენ ეკონომიურ წყობილებას, ვითარებენ ეროვნულ შრომას, ვაქვთ ნაწარმოები მსოფლიო ბაზარზე და მით გვაკავშირებენ მსოფლიოსთან. მათი ინტერესია საქართველო ერთიანათ დასერილი იყოს გზატკეცილებით, რკინის გზებით, ტელეგრაფის მავთულებით, იყოს ხალხი გაქალაქებული, გაზდილი, განათლებული, მწერლობა აყვავებული, ახალი იურიდიული ურთიერთობა განმტკიცებული და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, მათ ენატრებათ ევროპა საქართველოში. მხოლოთ ასეთ ნიადაგზე ვაძლებლათ შრომა და თავის მიზნის განხორციელება რუსეთში. მას შემდეგ რაც საქართველო რუსეთს

შეუერთდა, ცხადია, ჩვენში რუსის ელემენტი უნდა გაძლიერებულიყო. რუსული მართვა-გამგეობის, კანონების და წესების დასამყარებლათ საჭირო იყვენ ახალი კაცები, ახალი მმართველები. საიდან უნდა მოსულიყვენ ისინი? რასაკერძოდა იქიდან, საიდანაც ახალი წესები მოდიოდა. ამაების ადგილობრივი მცხოვრებთათვის ჩაბარება ნიშნავს ადგილობრივი ელემენტის გალონიერებას, ადგილობრივი ენის, წყნ-ჩვეულებების და ხასიათის გავანერება-განმტკიცება, როგორც ხედავთ, ეს ორი სხვა-და-სხვა ერთიმეორის წინააღმდეგი მომდინარეობაა. მაგრამ სანამ საქართველო-რუსეთს შორის მისგლა-მისგლა შეეფრთხებულთ იყო, მანამდე ძალა-უნებურათ ქართველებით უნდა დაემაყოფილებულიყვენ. ეს მით უფრო, რომ მაღალი თავდა-ზნაურობა, რომელმაც საქართველო რუსეთს ჩააბარა და დაუმორჩილა, ძლიერ სანდო და ერთგული უნდა ყოფილიყო. ამიტომ ამ საუკუნის პირველ ნახევარში ის შეიქმნა მიწეული ახალი წყობილების ცხოვრებაში გასატარებლათ. ასე გასინჯვით, მთავარ-მართებელს თ. კუცინაოვსაც გავჭირებდნენ და ერთ ქართველთ მოაქცეს, რომ მოწინააღმდეგის თავი ჩაშუქონოს, ვითომც ის საქართველოს ინტერესს იცავს (იხ. ბ. ფრონელის ზემოთ დასახელებული წერილებში). მღვიან-ბეგები, ბოქაულები, ნაკალ-მამასახლისები, მაიორები, ლენერლები და სხვა სახატო მოხელენი ქართველი თავდაზნაურია. ესენი ამშვიდებენ აჯანყებულთ, იჭერენ მევის ჩამომავლთ, მიყავთ რუსის ჯარი მიუვალ ადგილას, უმაღლეს მთავრობას ატყობიებენ საიდუმლო ამბებს, დფარულ სიმავრებს და სხვ. სამავიერთთ ჩინს, ჯამაგირს და წარჩინებას ლეხლებობენ. მოხელე, ჩინოვიკი, რაც წინათ ჩვენში სრულებით უცნობი იყო, სანატრელ თანამდებობათ გახდა. ერთი სიტყვით თავდა-ზნაურობა მკლვ დროში კინალამ ვადაიქცა იმით, რათაც საუკუნოებმა რუსეთის აზნაურობა გადაქცია—Служилое сословие (მოსამსახურე წოდებათ). ასეთი სანეტარო დრო დიდ ხანს არ გავრძელებულა. შესაშოვ წლებს შემდეგ მოხელეობისათვის საჭირო შეიქმნა სწავლაც. თავდა-ზნაურობა შკოლებს მოაწყდა, მარა კარები დახურული დახედა, შენზე უფრო მომზადებულები სხედან შიგო. ქართველს უჭირს ეგზამენის დაქერა იმიტომც კი არა, რომ უნიჭია, არამედ იმიტომც რომ რუსული ენა ზედ-მიწეწნით არ იცის, ე. ი. რუსი არ არის. აქედან იწყება რუსის მოხელეთა გავრავლება და ქართველების შემცირება. რაც წინ უწავლთ ეს უფრო და უფრო გაძლიერდება და ქართველს თანდათან ავრძობიებს მისი ასპარეზი მოქალაქობრივი ნიადაგია და არა მუდამ სხვის კარზე მათხოვრობა.

ეკონომიურ ასპარეზზე ჩვენში რუსება სუსტია. ისინი მეტოქეობას ვერ უწევენ ვერც სომხებს, ვერც ევროპელებს და ვერც ქართველებს. ეს ასეც უნდა იყოს. რუსეთი ამ მხრით ჩვენსავე ჩამორჩენილია. იქ არ ტრიალებს იმდენი კაპიტალი, რომ ადგილობრივით დაბანდობა შეუძლებელი იყოს და საქართველოში წამოვიდეს. ევროპელები ჩვენში მოდის იმატომ, რომ ევროპაში დიდი ფული ტრიალებს, საქმე კი იმდენი არ არის, ამისათვის ის გადააქეთ ქვეყნის ყოველ კუთხეში და ყოველ ერში. რუსებს კი ეს არ შეუძლია. როცა ის ისე გალონიერდება, რომ საქართველოს თავის კაპიტალს მოაწოდის, მაშინ ქართველობაც იმავე ფეხზე იქნება დამდგარი და რუსეთის კაპიტალს თავის კაპიტალს დაუპირდაპირებს. ჩვენში თუ რასმე აკეთებს ეკონომიურ ნიადაგზე, რუსეთის კერძო თაოსნობა კი არა, არამედ თეთიან მთავრობა. ის სტრატეგიული მიზნით რკინის გზებს ხსნის, რის მეშვეობით ვითარდება ხაჯის მეურნეობა. ირლენდე ძველი ურთიერთობა და იქმნება ახალი ქართველობა, ახალი მოთხოვნალებით, ახალი მოქმედებით და იდეებით.


რუსები ეტანებიან უფრო მიწაადგილის შექმნას. ამ ს მზღზ ორია, ერთი ის, რომ სურთ თავიანთი ელემენტო მეკადრ ნიადაგზე დააყენონ, ხოლო მეორე წმინდა ეკონომიური ხასიათისაა. ეკონომიურათ უკან-ჩამორჩენა სხვათა შორის იმასაც ნიშნავს, რომ კერძო თაოსნობა, გამხედობა, „რისკი“ მ-შქალი, მალეფულია. ფულის პატრონს შიშით ხელი უძაქავებს, დღე და ღამე არ ძინავს, ფული არ დამეკარგოსო. ის უფროთხის წარმოებაში აღებ-მაცემობაში მონაწილეობის მიღებას, ეს საქმე მას საეჭვით მიაჩნია. თუნდ დარწმუნებულიც იყოს მოვიდებო, მაინც შორს გაურბის, ბეჭი ფიქრი და დაეიდარება დამკირდებო. ევროპელები ასში მხოლოდ ათს ანგარიშობს მოსაკებათ, ოთხმოცდა ათს „რისკზე“ გადადის, ან მოვიდებ, ან წაეაგებო. ის ამაშია აღზრდილი, ასეთი ცნეზგით სულდგმულობს. რუსი (აგრეთვე ქართველი) ყოველ ფეხის გადადგამზე კანკალბას, ვაი თუ ვერ ჩადიდვარ კარგათო. აზიკომ ის ეძებს თავის ფულისათვის სანდო, მაგარ ბიანს. რა წარმოადგენს ასეთ ბიანს, თუ არა მიწა-ადგილი. მიწის გაქრობა, ან დაღუფვა ხომ არ შეიძლება და მაშასადამე იქ შეტანილი ფული იქნება და იქნება უკუნისამდე. ევროპელები ფულის პატრონი მიწის შექმნას არ ეტანება, ეს მას ხელსაყრელათ არ მიაჩნია, რაიცა აშკარა იქიდან, რომ ყველა მემამულე ყელამდე ეალშია, ჩვენებური კი პირიქით მრეწველობას არ ეტანება, სასარგებლოთ არ მიაჩნია, თუმცა ეალის გემო მიწის პატრონსაც

კი ხანია გაღებული აქვს. უკან ჩამორჩენილ ქვეყანაში შრომა, ენერჯია განუვითარებელია და მაშასადამე კაპიტალი, გამხედობა, საწარმოო მიღრეკილება სუსტია. ასეთ პირობებშია რუსეთიც. აქედან ჩვენ საწარმოო თანხა ვერ მოგვივა, ხოლო ის რუსები, რომელნიც ჩვენში ჯამაგირით თუ „მოსე მწერლობით“ ფულს მოუღობენ, წარმოების გეზინათ და ისევე ქონების ეტანებიან... ამ კითხვის შესახებ მეტს ევლარას ვიტყვი...

ამ ნაირათ ჩვენ გაეარჩით სამი უცხო ტომის ეკონომიური მოღვაწეობა და აღმოჩნდა შემდეგი: სომხები წარმოადგენენ მოვახშე, სარჩო კაპიტალს. ფული ფულს იგებს არა წარმოებით, საქმეში დამანდებით, არამედ ევექსილის ქალაღლით, „ნუნსტრაიკით“, მოტყუებით, კანონიერი უკანონობით; ამისათვის მათო მოქმედება კონსერვატიულია. ევროპელები მრეწველობას მიდევნ, ეპკრობაში პატრონება შეეაქეთ, ქვეყანა ევროპეულ გზაზე გამოყავთ და მით პროკურესიულ როლს თამაშობენ. რუსები კი ორევეს შუაშია. ის არც ჩარჩია, არც მრეწველი, არც მღიდარია, არც ღარბი. მიიღტვის უფრო უძრავ ქონების შექმნისაკენ, საზოგადოთ მთხელეს ჩანოეჩია.

6. ჟორჯიანია.

(შედეგი იქნება)



მეცნიერება გაკატრდა, თუ მეტაფიზიკა?
(ბრიუნეტეარას ღაცის გამო ჩვენში)

II *)



კითხველი დანახვდა ზემონათქამიდან, თუ რა ნაირია ბრიუნეტეარის შეხედულება ბუნებაზე და ბუნების მეცნიერებაზე. მოკლეთ ეს შეხედულება გამოიხატება ამნაირათ: ბუნებაში მანგების ძალთ არსებობა „მომჩაგი და გონიერი წესი“ (l'ordre mobile et intelligent), და ყოველივე მასში მიისწრაფება ერთხელ და წინდაწინვე განზრახული მიზნისაკენ. ამ დასკვნამდს მიეყვართ (რასაკერეგელია ბრიუნეტეარის აზრით) თანამედროვე ევოლიუციონური მოძღვრებას. —ამნაირი შეხედულების წარმოთქმით ბრიუნეტეარმა დაამტკიცა მხოლოთ ის რომ მას ყოველად შემცდარი წარმოადგენა აქვს ბუნება

*) ის. „კვლეა“, № 18.

ნებაზე—ერთი მხრით და მეორე მხრით—ის, რომ მას სრულებით ვერ შეუთვისებია აწინდელი მეცნიერებების დედა აზრი და ისევ ძველ დაძინებულ მეტაფიზიკაზე აზრის ჰიპოთეზით მიკრული. ჩასაკვირვებელია, როცა ამნაირი აზრის პატრონი ნამდვილ მეცნიერებაზე დაიწყებს ლაპარაკს, რათა ამ უკანასკნელის ნაამაგვეი დაფასოს, იმას ვერ დაემაყოფილებს ეს ნაამაგვეი, რადგანაც იგი სულ სხვას ეძებს; მოკლეთ რომ ვთქვათ, მას ვერ დაემაყოფილებს მეცნიერება მითუმ, რომ იგი მეტაფიზიკაა, ამის დასამტკიცებელ საბუთს ჩვენ ახლადე დავინახავთ.

ბრიუნეტერმა მიმართა მეცნიერებას იმიტომ კი არა, რომ მისი ჯგოფიანი ღირსება ეცნა, არამედ იმიტომ, რომ მისი ყოველგვარი შენაძინი ავთელის-წუნებია და ჩინათაც არ ჩავდლა. მართლათაც, მეტაფიზიკა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის არა რწამს რა და სულ რაღაც იდეალური არსებებით და იდეებით იკვებება (თუმცაღა პურის და სხვა ამ გვარ რეალური საგნების მაგიერობას კი ვერ გაუწყვეენ ეს იდეები, ეს უნდა იცოდეთ კარგათ), ის მეტაფიზიკა, ვიმეორებთ, ვერაფერ სასიამოვნოს ნახავს ნამდვილ მეცნიერებაში. ეს უკანასკნელი სწორ მათემატიკურ ანგარიშზეა დამყარებული, აქ სასწორის და საზომავს პირველი ალაგი უჭირავთ, ერთი სიტყვით აქ პირადპირ მატერიალთან გაქვთ საქმე; და ეს მატერია ზომ საზომლარი და ერთი რამ მდაბალი ქმნილებაა მეტაფიზიკის თვალში. ბრიუნეტერმაღ ვადადელო თვლი მეცნიერებას და მასში ვერ პოვა იმისთანა რამ, რაც მატერიალზე არ იყო დადუძებულო, და თუმცაღა ზოგიერთი რამ, მაგალ, თუნდ ის, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში თითონ მან პაიტიდინ რომში ამოყო თაგი პაპის სანახავთ, ე. ი. რკინის გზა და სხვა ამისთანაგები, არ შეეცლო, არ მოეწონებია, მაგრამ ღირს-კი ამისთანა უღირს რამეებზე ლაპარაკი, როცა დაეკამს ჭკუნიდან მეცნიერებაში არავითარი ცნობა არ არის; მან, გაგოსტკუბულ მეცნიერებაო!—დაესკვა ბრიუნეტერმა.

მეცნიერება ვაკოტრდა თუ მეტაფიზიკა, ამის ჩვენ ცოტა ქვემოთ დავინახავთ. აქ შევნიშნოთ მხოლოთ, რომ მეცნიერების ვაკოტრების ხადილი ახალი ხილი არ არის მეტაფიზიკების მხრივ. მაგრამ ბრიუნეტერმა ამას თავისებური მიმართულება მისცა და იმიტომ შეტოვლებელი იყო, რომ მისი აზრი უფულადლობით დატოვებულიყო და მისი უსაფუძლობა არ გამოეცაარებინათ, ვისანაც რიგი იყო; თუმცაღა იგი კი უნდა ითქვას, რომ საურნავთში და საზოგადოთ ვეროპაში და ამერიკაში, სადაც მეცნიერება მეკიდრ საფუძველზეა დამყარებული, ბრიუნეტერისებრიგი ხეპრული შეხედულება მეცნიერებას თა-

ვის დღეში ვერაფერს ვერ დააკლებს. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ბრიუნეტერის ხეპრული აზრს; ვითომც მეცნიერება ვაკოტრდაო, ჩვენშიაც აღმოუჩინდა მოსაჩილე, დაბ; ჩვენში! ეს განსაკუთრ. კიტო, ვაზ. „იერიის“ პულიცისტა, რომელიც ბრუნეტერის ნათქვამს ბანს აძლევს 1) იმ გაზეთში, რომელიც ერთათ ერთ ყოველ დღიურ გამოცემათ ითვლება ჩვენში. ყველამ კარგათ იცის, რომ ჩვენში მეცნიერებამ ჯერ-ჯერობით მხოლოთ ფესვების გაღვმა იწყო და, ეინ იცის, როდის ვაეკეთებს ძირს, როდის დაწყარდება ისე, როგორც ვეროპაში და ამერიკაში. მაგრამ ახლადე თუ გამოვდებით და ვიძახებთ ვაზეთის საშუალებით, რომ მეცნიერება ვაკოტრდაო, ამით სწორეთ ვერაფერ ხეირ, დაეყრით ჩვენ ქვეყანას. ჩვენ როცა ამ წერილის დაწერა ვაწეზრახებთ, სრულებით სახეში არ ვეჭვანებია, რომ მეცნიერება დაგვეცეა იმ გვარ ახირებულ შეხედულებათა წინაშე, როგორიც არის ბრუნეტერის შეხედულება. და მართლა რომ მეცნიერება საჭიროებდეს ამ გვარ დატვას, იმ შემთხვევაში ჩვენ პირადპირ აღვიარებდით მეცნიერების ვაკოტრებას. ჩვენ მხოლოთ ვესურს ის საბუთები, რომლებიც ვეოხებთ ბრიუნეტერით და ჩვენში ბ. კიტა ცდილობენ მეცნიერების ვაკოტრების დამტკიცებას, მოკლეთ ვაეარჩიოთ და დავაუხსოთ. ბრიუნეტერით, და მასთან ბ. კიტაც, ჯერ მთელ მეცნიერებას ეტება და შემდგე თითოეულ მის დატვას; ჩვენც ამ რიგს მიეყვით.

მეცნიერება ვაკოტრდა—ამბობს ბრუნეტერით—იმიტომ, რომ მან ვერ შეკვისრულა—ის, რადე ვაგებინდლა, ვერ ვაგეინართლა იმეღები, რომლებიც დატვიზადა მისმა შანჯანჯეთით მოსიღამ, ბრწინჯაღე დასაწესიძო (იხ. „იერია“ № 42. აქ კურსიგი ყველგან ჩვენი). ვებანიკური აღმოჩენებით კი შეუძლიათ მხოლოთ რომ დაიკებონ ახლანდელმა მეცნიერებმა, მაგრამ რა გამოევა აქედან: კაცის ცხოვრების ვაუმჯო-

1) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბ. კიტა ერთობა ბრუნეტერის ეკოეკების ჭურჭლათ განდა ბრუნეტერის გამო. მას, მაგალითურ, სურს ვაეკებე ვაპართლოს და ვაეკებე ვაპტუნოს ბრუნეტერით იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა კათოლიციზმის უპირატეობა აღიარა ვეულად საწმუნებათა წინაშე. მეორე მხრით, ეინც კი ხმა ვაესტ ბრუნეტერის მისი შემდგარი აზრის შესახებ, ბ. კიტა უსაყვედურებს: თქვენ ამისთვის არ უნდა მაგვიტავთ უწრდლა. მაგრამ, ვაე, თითონ ბ. კიტამ მაქვდა უწრდლა; ვერ ჩვენი საპართეულანაე. შეიძლება ჩვენი ვეისაყვედუროს ბ. კიტამ, ჩემს წრდლს რათ მააქვიეთ უწრდლა; აქ საყვედურზე ჩვენ ვუხანჯეთ ბ. კიტას მხოლოთ მხრების აწკიით.

ბესობას ხომ ვერ დიხეიმებნო. მეცნიერება დაგვირ-
და— განავრძობს ბრიუნეტერი—საიდუმლოებას ფარ-
დას ავხდით, ყველაფერს ავიხსნით, თქვენთვის მიჟ-
ღამოელი არა დაჩნებაჩაო. მაგრამ ეს იმედოც ვავეი-
ცრუა: შეიხარება ვერ დაგვანსვა ნათლათ, როგორი
იყო დასანამი ქვეყნისა, ვერ ავიხსნა, ან არის თავე-
და-თავე მიხვეწი ყოველივეფრისა, ვერ დავეანაზო ის გზა,
რომლითაც მიმდინარეობს გაგონაობას, ვერ განვი-
მარტა, როგორი იქნება მომავალი ბედ-იბადაი კაცობ-
რიობისა.— რა ვიკავით და რა ვიქნებით, აი, ორი და-
წყველილი საკითხავი, რომელზედაც მეცნიერებამ
პასუხი ვერ ვეიგო და ვერც ვეიგებს მომავალშიო.
თუმცა დარეინის შრომამ დაგვიმტკიცა, რომ მიამუ-
ნებდიან მოემდინარეობთ, მაგრამ განა იცით მიანც
რამ შექმნა ეს წინაპირი, როგორი იყო იგი?—მეც-
ნიერებას შეუძლია ავიხსნას მარტო პირუტყული
მხარე ჩენი ბუნებისა, ადამიანური მისაგე ვი მისთვის
მიჟღამოვდა. რა ვართ ჩვენ როგორც ადამიანი?
საიდან და როგორ ვანდა ვნა, სსზოგადოება, ზნეო-
ბა? ვინც კი სცადა ამ საუკუნეში ამ კითხვების გა-
დაწყება, ყველა დაძაბდა, განარკვეუდა აჩუგის გვი-
ნისაგე, ასევე უნდა იქნეს მომავალშია?—დასძინეს
ბრიუნეტერი და კვირს ურტყამს ამაზე ბ. კიტაც.

აი, აწნაირი საბრალდებულო ოქმი შეუდგინა
ბრიუნეტერმა თანამედროვე მეცნიერებას. მაგრამ
შეიძლება თუ არა, რომ ბრალდებული დაუმორჩი-
ლოთ იმ ათასგვარ ბრალს, რომელსაც მას ადებს
ბრიუნეტერი? გავიწივით ეს საბრალდებულო
ოქმი ცოტა უფრო დაწვრილებით. პირველათ
მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ რას უნდა
ნიშნავდენ შემდეგი სიტყვები: მეცნიერებამ ვერ
გავიძარტოლა ის იმედები, რომელიც დაგვიბადა
მისმა შანსანდეთით მოსიძმა, „ბრწინაგადა დასაწყის-
მა?“ ჩვენ ვერ ვაგვიგაია სწორეთ ეს „შარავანდეთით
მოსილი და ბრწყინვალე დასაწყისა“ მეცნიერებისა!
სხვას რას არგუნა ბედმა აწნაირი დასაწყისი, რომ
მას მარტო მეცნიერებას არგუნებდა? თუ კი რამეს
კაცობრიობის ისტორიული სიტუარებაში გამოიყვლია
შეა და მწაგე აღენი, ეს ყველაზე უფრო მეცნიერე-
ბამ გამოიარა, ძველს დროში, საშუალო საუკუნოებ-
ში და თითქმის ჩვენ დროშიაც, ყოველსაგე იმას,
რასაც ცოტათ, თუ ბევრათ ნამდვილი მეცნიერების
ელფერი დაატუებოდა, სასტიკი განსაცდელი და-
ადგებოდა; ამას ამტკიცებს არა ერთ და ორი მა-
გალით, არამედ მთელი ისტორია. ამის და მიხედვ-
კით მეცნიერებამ გაამარტვა ერთ ყველაზე უსასტი-
კეს ბრძოლაში, რომელიც გძელდება თითქმის მთე-

ლი ისტორიული ცხოვრების სივრცეზე დაგამარტ-
ვა რით? ხმლით, თუ თოფით და წაპლით, თუმცა-
და მის დასამარტებლათ არაფერს არ ზოგავდენ?
არა, მას ეს ამოც ერთი არ უხმარია, მან გამოარტვა
მხოლოდ იმით, რომ კეშმარტებისაკენ მისწრაფე-
ბოდა. აი, ეს გამოარტვა ცხადათ ლალადებს არა
იმაზე, რომ მეცნიერებას ქჰონდა შარავანდეთით მო-
სილი და ბრწყინვალე დასაწყისი, არამედ იმაზე, რომ
მისი მომავალი უნდა იქნეს აწნაირი. სულ სხვანა-
რია მეტაფიზიკის ბედი. თუმცა-და ბრწყინვალეთ
ვერ მივიღებთ მის დასაწყისს, რადგანაც ეს უკანას-
ნელი ბნელით და ბურჟუსით არის მოკული, მაგრამ
ძლევა-მოსილი კი დაგრქმევა მას. მეტაფიზიკურ ახ-
როვნებას ყოველთვის დიდ პატივი ქჰონდა იმის
კანე, ვის ხელშიაც ხალხის ბედ-იბადაი იყო, თუ
უმეტეს ნაწილათ თვით მეტაფიზიკებისაგან არ შედ-
